ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 74

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის „18“ „ივნისს“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, **საკუთარი სახსრებით**, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე) (CPV კოდი: 80400000; 80413000.)

ერთის მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში **შემსყიდველი**) სააგენტოს უფროსის ბიძინა გიორგობიანის სახით, **მისამართი**: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, ს/კ 204578581, **ტელ:** 2753910. **საბანკო რეკვიზიტები:** ქ.თბილისი, ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა GE24LB0121112350449000. **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. სათავგადასავლო კლუბი „ჯომარდი“ (შემდგომში **მიმწოდებელი**) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბურდულის სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი, დიღმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 3-ბ. ბინა №32. ს/კ 202231806. **ტელ:** 599141160; 570100244. **საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა GE44BG0000000298628001 ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 24 (ოცდაოთხი) თანამშრომელთათვის საჯომარდო ტურის მოწყობის მომსახურების შესყიდვა (შემდგომში მომსახურება) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. მომსახურების ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს **600 (ექვსასი)** ლარს.

2.2 ერთ ადამიანზე საჯომარდო ტურის მოწყობის მომსახურების ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით (მომსახურების გაწევის ადგილზე ფაქტიურად წარმოდგენილი შემსყიდველის თანამშრომლების რაოდენის შესაბამისად).

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე.

3.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2014 წლის 30 ივნისიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში.

4.2 შემსყიდველი მიმწოდებელს ტელეფონით და წერილობით წინასწარ აცნობებს ჯავშნის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი, თავის მხრივ, შემსყიდველს ტელეფონით და წერილობით შეატყობინებს ჯავშნის მდგომარეობას.

4.3 მომსახურება უნდა განხორციელდეს დუშეთის რაიონის, სოფელ მენესოში, მდინარე არაგვზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები თანხმდებიან, რომ კეთილსინდისიერად, დროულად და ჯეროვნად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ყველა ვალდებულებას.

5.2 არცერთმა მხარემ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საჯომარდო მომსახურებისათვის საჭირო აღჭურვილობა (ნიჩბები, ჟილეტები, ჩაფხუტები.) დროებით სარგებლობაში გადასცეს შემსყიდველის თანამშრომელებს და ასევე შემსყიდველის თანამშრომელთათვის განახორციელოს ინსტრუქტაჟი (ინსტრუქტორის სერვისი).

5.4 შემსყიდველი ვალდებულია, შეკვეთის გაუქმების ან თანამშრომლების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს მიმწოდებელს.

5.5 თუ ერთ–ერთი მხარე გადაწყვეტს ხელშეკრულების შეწყვეტას, იგი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

6. გარანტია

6.1 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად (მომსახურების გაწევის ადგილზე ფაქტიურად წარმოდგენილი შემსყიდველის თანამშრომლების რაოდენის შესაბამისად) განხორციელებული

მომსახურებისათვის, მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
10.2 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
10.3 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მიმწოდებლის მიერ, მომსახურების განხორციელების ვადა გადააჭარბებს 10 (ათი) კალენდარულ დღეს შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაგადაცილებული დღეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოსთან ერთად დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით და გაწყვიტოს ხელშეკრულება, უარი თქვას მომსახურების მიღებაზე და ანაზღაურებაზე.
10.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს ერთჯერადად დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.
10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;
11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი დავით ენდელაძე და ამავე დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი ნანა მჭედლიშვილი (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი“).
12.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

12.2.1 გაუწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
12.2.3 უზრუნველყოს მომსახურების მიღება.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.
15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ქართულ ენაზე, ორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
----------	----------
ბიძინა გიორგობიანი	ზურაბ ბურდული
სააგენტოს უფროსი	შ.პ.ს. სათავგადასავლო კლუბი „ჯომარდი"-ს დირექტორი